ოქმი:**ო03. 3723328001**

თარიღი:**24/11/2023**

ოქმი № 19

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის სხდომის

2023 წელი, 24 ნოემბერი

ქ.ოზურგეთი

12.00 -13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის

თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ღაჟონია, ბ. თოიძე, ქ. ხომერიკი, ლ. ბიგვავა, მ. ვაშალომიძე, ბ. მელუა, ნ. ქარჩავა, ტ. აროშიძე.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი,რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: ბექა თოიძე
თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

სხდომის თავმჯდომარემ, გ. ჩავლეშვილმა, კომისიის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტზე, აღნიშნა, რომ საკრებულოში შემოტანილი იქნა არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში და პროცედურების დაცვით, შემდეგ პროექტის გასაცნობად სიტყვა გადასცა თანამომხსენებელ პ. ჭყონიას. თანამომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები, შემოსავლები და ხარჯები, აღნიშნა 2024 წლის ბიუჯეტი სავარაუდოდ დაიგეგმება 37 მილიონ 725 ათასი ლარით, ანუ მიმდინარე წლის ბიუჯეტს აღემატება 4 მილიონი ლარით, აქედან საკუთარი შემოსავლები იქნება 37 მილიონ 250 ათასი ლარი. ზოგადი ინფორმაციის მიწოდების შემდეგ თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ კომისიის წევრებს მიაწოდა კონკრეტული ინფორმაცია სხვადასხვა დარგებისა და პროგრამების დაფინანსებაზე, განაცხადა, რომ ზოგიერთი ცვლილება 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში განხორციელდა მერიის სამსახურების ინიციატივით, საგულისხმოა ისიც, რომ ინფრასტრუქტურის განვითარებას დაემატება დაახლოებით 1,5 მილიონი ლარი ბიუჯეტში ე.წ. ნარჩენი თანხების ასახვის შემდეგ. ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი განხილვისას წარმოშობილი შენიშვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი გამოთქმული შენიშვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი